საქართველოს პარლამენტის წევრის

ნინო გოგუაძის ვიზიტის

ა ნ გ ა რ ი ში

ვაშინგტონი, აშშ

22-26 თებერვალი 2018

მ/წ 22-26 თებერვალს, ოფიციალური ვიზიტით ვიმყოფებოდი ვაშინგტონში, აშშ. ვიზიტი განხორციელდა ევროპული კონსერვატიული ალიანსის - „ევროპელი კონსერვატორები და რეფორმისტების“ ორგანიზებით და მხარდაჭერით. ვიზიტის ფარგლებში მონაწილეობა მივიღე ამერიკის შეერთებული შტატების კონსერვატიული პარტიის კონფერენციაში. კონფერენცია იმართება ყოველწლიურად და მონაწილებას იღებენ, როგორც აშშ კონსერვატიული/რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები, ასევე კონსერვატიული პარტიების წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

კონფერენცია გახსნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა - დონალდ ტრამპმა და ისაუბრა ამერიკის როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის კონგრესის წევრები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარომადგენლები, ასევე არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.